| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


დღეს, 17 მაისს, მუშტაიდის ბაღში დანიშნულია

## სეირნობა

და

## ლოტარეია-ალლეგრი

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყობა ნაშუადღევის 4-ს საათზედ.

ტფილისი, 16 მაისი

ჩვენი ხალხი უმთავრეს ნაწილად მეურნეობას მისდევს. მეურნეობა შეადგენს ჩვენის ქვეყნის სიმდიდრეს, ეს არის ჯერ ერთად-ერთი წყარო შემოსავლისა და ამ შემოსავლით უნდა გაუძღვეს ჩვენი ხალხი ყოველ გვარ საქვეყნო და შინაურ ხარჯსა. მრეწველობა და აღებ-მიცემობა ჯერ-ჯერობით ძლივს ისახება, ასე რომ სათქმელი არც კია. ამიტომ თითქმის მთელი ჩვენი ქვეყანა და უფრო მეტად მივარდნილი, მიყრუებული ადგილები, მოშორებულნი დიდ ქალაქებზე, მოკლებულნი უგზოობის გამო ბაზრებს, ეკონომიურად იმ მდგომარეობაში არიან, რომელიც საპოლიტიკო ეკონომიაში „ბუნებითს მეურნეობად" არის ცნობილი (натуральное хозяйство). ამ გვარ ეკონომიურის წეს-წყობილების უმთავრესი ხასიათი იმაში იხატება, რომ მწარმოებელს, მიწის მუშას, ნაწარმოები თუნდა მომეტებულიც ჰქონდეს, მაინც ფული ყოველთვის უჭირს. ამ გვარ მწარმოებელს ფულის შოვნა უძნელდება, რადგან ბაზრის უქონლობის გამო თავის ნაწარმოებისათვის კარგი გასავალი ვერ უშოვნია, მიწის მოსავალი ფულად ვერ უქცევია. ამიტომ ცდილობს, ცხოვრების მოთხოვნილებას, საჭიროებას თავის ნაწარმოებითვე გაუძღვეს; ყოველ წვრილმან შინაურ გარდასახადში, იჯარაში, საცა კი შეიძლება, ფულის მაგიერ, თავის ნაწარმოებს აძლევს; ასე უსწორდება, მაგალითად, ჩვენი გლეხი მღვდელს, დალაქს, მეველეს, გზირს და სხვებსა. უწინ, ამ საუკუნის დასაწყისამდე, თვით სახელმწიფო ხარჯსაც-კი პურითა და ღვინით იხდიდა. მხოლოდ ამ საუკუნეში, როდესაც ჩვენი ეროვნული ცხოვრება ძირეულად შეიცვალა, შემოღებულ იქმნა ფულით გარდახდა ხარჯისა. ცხოვრებამ კი ისეთი მიმდინარეობა მიიღო, რომ ჩვენს ხალხს, მეტადრე მოხარჯეს, რაც უნდა ექმნა და ფული კი უნდა ეშოვა და ყოველი ხარჯი ასე გაესტუმრებინა. მაგრამ როგორ ეშოვა ფული, როგორ ექცია თავის ნაწარმოები ფულადა? ქალაქს წაეღო? ვინ იცის, ესეც საუთუვოა: ხან ფასი ნაკლები არის, ხან სრულიად ბაზარი არა აქვს რომელსამე ნაწარმოებსა. ხშირად რამდენსამე დღეს უნდა მოსცდეს და ნახევარ ფასადაც ვერ გაჰყიდოს თავის ნაშრომ-ნადაგი. კიდევ კარგი, ვისაც ქალაქი ახლო აქვს და იქ წაღება შეუძლიან თავის ნაწარმოებისა, ვინც შორს არის? ის, მეტი ღონე არის, იძულებულია ფულიან კაცს მიჰმართოს და, თუნდ ჩალის ფასად, მიჰყიდოს თავისი ნაწარმოები, ოღონდ გაჭირებაში ხელი გაიმართოს. აი აქ იჩენენ ხოლმე თავსა ყოველ გვარი ჩარჩები. ამათ, რასაკვირველია, თავიანთ კერძო სარგებლობა, თავიანთ ინტერესები აქვთ სახეში და არა ხალხის კეთილ-დღეობა. ამიტომ დიდს სიკეთეს შესძენს, დიდს ღვაწლს გაუწევს ჩვენს ქვეყანას, ვინც ჩვენ ხალხს ამ ჩარჩების ხელიდგან დაიხსნის. ვისაც-კი გული შესტკივა ქვეყნისთვის და ჰსურს ხალხის კეთილ-დღეობა, წარმატება, უნდა ეცადოს, რა გზითაც-კი შეიძლება, შემწეობა მისცეს, ხელი მოუმართოს მწარმოებელსა, რომ მის ნაწარმოებს გასავალი ჰქონდეს; უნდა უჩვენოს გზა მეტადრე იმას, ვინც არც კი იცის, რას სადა აქვს გასავალი, რომელ ნაწარმოებს სადა აქვს კარგი ბაზარი. დღეს თვით მთავრობა უჩვენებს ერთს წყაროს, რომელიც ღონისძიებას მისცემს მწარმოებელს თავის ნაწარმოები პირ-და-პირ მომხმარებელს მიჰყიდოს რიგიან ფასად და ჩარჩებს აღარ ჩაუგდოს ხელში. მხოლოდ აუცილებლად საჭიროა გზის მაჩვენებელი. რა წყაროა ეს და როგორ უნდა მიეცეს გზა ამ წყაროს, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

## ახალი ამბავი

*** დღევანდელი სეირნობა და ლატარია მუშტაიდის ბაღში, იმედია, დიდს ხალხს მიიზიდავს. სეირნობის გამგებელთ არაფერი არ დაუზოგავთ, რომ ეს სეირნობა კარგად იყოს მოწყობილი. ამ დღეებში გამგებელთ შეუძენიათ ლატარიაში სათამაშებლად ვერცხლის სამოვარი და თ. მუხრან-ბატონისაგან მისვლიათ რამდენიმე ყუთი ღვინოები. თითო ყუთში სამ-სამი ბოთლი ღვინოა, ბოთლი მანათიანი; მოსაგებ ნივთებ შორის იქნება ოთხი ოც-და-ხუთ მანათიანი ბილეთიცა. გამგებელთ დაუბეჭდვინებიათ სეირნობისა და ლატარიის ამბავი როგორც სომხურს, ისე თათრულს გაზეთებში. სხვათა შორის თათრულად დაუბეჭდვინებიათ სეირნობის პროგრამა 300 ცალი და გაუკვრევინებიათ თათრის მეიდნისა და აბანოებისაკენ.

*** 15 მაისს, ამაღლება დღეს, ტფილისში დიდი ამბავი იციან ხოლმე. ხალხი იკრიბება სოლოლაკში და ხარფუხში, ორთაჭალის ბაღებისაკენ. ამ მხარეს იციან დღეობა, რომელსაც თელეთობას უწოდებენ და ეს დღეობა დიდ-ძალს ხალხს იზიდავს ხოლმე. მრავალნი მიდიან კრწანისს უფრო საქეიფოდა და დროს გასატარებლად. წელს თელეთობამ ისე ვერ ჩაიარა, როგორც კვლავ ჩაუვლია. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმ დღეს თითქმის განუწყვეტლივ სწვიმდა.

*** ველაბარში, როგორც ამბობენ, ყვავილი გაჩენილა. ხარფუხელებს შეშინებიათ და იმის ზრუნვაში არიან თურმე, რომ მალე აუცრან ყვავილი თავიანთ ყმაწვილებს. აქამდე ყვავილს უცრიდა აქ დალაქი, მაგრამ ამ დალაქს აუკრძალეს ყვავილის აცრა და გამოუცხადეს, რომ საქალაქო სამკურნალოში წაეყვანოთ ხოლმე ბავშვები ყვავილის ასაცრელადაო. ჩვენც ერთი კვირაა დავდივართ ამ სამკურნალოში, მაგრამ ამაოდ: გვეუბნებიან, რომ ასაცრელი ჩირქი არა გვაქვს და, როცა ვიშოვით, მაშინ მოიყვანეთო. ვინ იცის, იქნება, მაშინ გვიან-ღა იყოს.

*** ამბობენ, რომ ამ უკანასკნელის ავდრების გამო კრწანისის ხევში დიდი წყალი მოვარდა და ამ წყალმა ხუთი კაცი დაარჩოვო.

*** 15 მაისს ერთს კერძო ბაღში, რომელსაც ნემენცების ბაღს ეძახიან, საყმაწვილო დღეობა იყო გამართული „მასწავლებელ ქალთა შემწეობის საზოგადოებისაგან". ყმაწვილები ბევრნი დასწრებიან ამ დღეობას. თამაშობა და გასართობ-შესაქცევარი, ყმაწვილებისათვის ფრიად საინტერესო, ბევრ გვარი ყოფილა იმ დღეს.

*** დღეს, 17 მაისს, 12½ საათზე ტფილისის პროგიმნაზიაში დაიწყობა მუსიკის ეგზამენი. პროგიმნაზიის გამგეობა სთხოვს მობრძანდნენ პროგიმნაზიაში ყველას, ვისაც კი ჰსურს გაიგოს, როგორ ასწავლიან მუსიკას ეხლანდელ საშუალო სასწავლებლებში. ამ საეგზამენო კონცერტის პროგრამმა ძრიელ ვრცელი და საინტერესოა. სხვათა შორის ქართველი ყმაწვილებიც მიიღებენ მონაწილეობას.

## ფელეტონი

### ედიშერ ქველგაქიანი

მოთხრობა

(შემდეგი*)

V

ვარდენ ვაჩეშვილი შეუდგა წვერის მოპარსვას, ულვაშები შავად შეიღება, ულვაშსაკრი გაიკეთა, გძელი ჩიბუხი აანთო, სიამაყით ჩააბჯინა და შემდეგ გავიდა ბალკონზე. ქუთაისის ბულვარი იქიდან ხელის-გულსავით იხედებოდა. იქ ხალხი ბლომად იყო და რაღაც ხმაურობა მოისმოდა. მეორე ნახევარი მეკენჭეებისა ბანკის დარბაზში იყო შეგროვილი. ამ დროს ერთი თავადი ბულვარიდან მოიჩქაროდა. მას უკან მოჰყვებოდა ორი მისი ამალა. დაინახა თუ არა ვარდენმა ის თავადი, კუთხისაკენ მიიწია, თავი მოარიდა, თუმცა-კი თვითონ მიმინოსავით ზევიდან დაჰყურებდა. თავადი მოადგა მოაჯირს და ზარი დააწკუნა. ბიჭმა უცბად გაუღო კარი.

— ვარდენ შინ ბძანდება?.. ჰკითხა თავადმა.

— დიაღ, შინ გახლავს.

თავადმა შემოირბინა კიბეზე და მხლებლებს უთხრა, კიბის ქვემოდ მოეცადნათ. ეს თავადი ვარდენის ძმისწული იყო. სანამდის ის კიბეზე ამოვიდოდა, ვარდენი შევარდა ზალაში, დაიწყო იქ წინ და უკან სიარული ჩიბუხის ბოლებითა. თავადი ქლოშინით მიესალმა ვარდენს და მიაყვირა:

— ბატონო, რა დროს ჩიბუხის წევაა. დავიღუპეთ, წუხელი ორმოცდა-ათი კაცი ჩვენის პარტიისა გადუბირავთ.

— მერე, რაო?

— წამობძანდით, მოგვეშველეთ.

— ორს საათამდის ჩვენის ბანკის მმართველის პასუხს უნდა მოვუცადო აქ. ისე მაქვს პირობა მიცემული.

— რა პასუხს?.. კაცი ჯავრით აღარ არის.

— წუხელი რომ დამპირდა, რატომ არ გზავნის აქამდის?

— თქვენგან არ მიკვირს, მაგას რომ ამბობთ? რა დაგპირდა, რომ არ აგისრულა?.. გამოგზავნის მაშ?..

— მე საყმაწვილო კბილი დიდი ხანია მოვიცვალე. ჩემი გაბრიყვება ახლა, სამოცის წლის კაცისა, ღმერთსაც ეწყინება.

— ბატონო, რა დროს მაგისთანების ლაპარაკია! საქმე უკანასკნელს წამამდის მიიწურა. კენჭის კოლოფებს ითხოვენ წინააღმდეგნი. ალბად, მოპირდაპირე პარტია გრძნობს გულის სიმაგრეს.

— შენ, ჩემო ბიძია, აქ ლაპარაკს, ისა სჯობია, საჩქაროდ გასწიო და ასე უთხრა ბანკის მმართველს: სანამდის სამოც-და-ათი თუმანი აქ არ მომივა, ჩემის სახლიდან არ დავიძვრითქო. და თუ ეს ფული ახლავე არ მომივიდა, არც მაქვს იმედი, რომ საქმე ჩვენ გავიტანოთ-თქო. წადი საჩქაროდ, ნულა აგვიანებ.

— ბატონო, ბიძია, ბანკის მმართველმა გთხოვათ, აქ მობძანდითო.

— ასე უთხარი, ფეხსაც არ გამოვდგამ-თქო. ის კაცები მისის იმედით შევიპირე. უფულოდ რომ იქ გამოვჩნდე, რას მეტყვიან?.. რა გექენი, რაზედ მოგვატყუეო? მერე მე ამას მოვითმენ?.. ამდენი ხანი ეს ულვაშები სინიდისით მიტარებია,—სიამაყით გადიგრიხა მარჯვენა ულვაში—ახლა ამ ბოლოს დროს უნდა შევირცხვინო, როცა ცალი ფეხი სამარეში მიდგია?.. არა, ჩემო ბიძია, იმას ვინც მოუტყუებია, ის მოატყუოს; ჩემთან მაგისთანა ოინები არ გამოადგება... გასწი, დრო იკარგება. ბიძაშვილობამ აქ ტყუილა ენის ღალვას, ის სჯობია, საჩქაროდ მიხვიდე ბანკის მმართველთან, დაპირებული ფულები გამოართვა და მომიტანო... მისი დარდი ნუ გაქვს. მე ვიცი, რასაც ჩავდივარ. თუ ფული მექნა, ვინცა მყავს, მე ისინი ხელიდან ვერ წამივლენ.

ვარდენის ძმის-წული მაშინვე გამობრუნდა. ხლებულს უბძანა, მეფაეტონეს დაუძახეო. ნახევარს მინუტს შემდეგ ვარდენის ძმის-წული ბანკის მმართველთან მირიხინებდა.

— დიაღ, მამა უცხონდა!—განაგრძო ლაპარაკი თავისთვის ვარდენმა —მე მისი საქმეები ვაკეთო, ხარჯი გავსწიო, ჩემი ოჯახი მისი გულისთვის ვალში ჩავსვა და იმან ბანკის მმართველობა ხელ-მეორედ გაიკრას, ნეტავი ჩემს ცოლსა და შვილს! ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამდის სამოც-და-ათი თუმანი არ მომივა. თუ მომატყუა, ამ საღამოს სახლშიაც არ მოუშვებ, კარს დავუკეტავ!

ამ ლაპარაკში ვარდენი თან-და-თან ღელდებოდა, ზალაში მიდი-მოდიოდა და ნაბიჯებს უმატებდა.

ერთს საათს შემდეგ ვარდენის ბიძაშვილმა ისევ მოაყენა ფაეტონი.

— მოგატანიე თუ ვერა, სიამოვნებით წაილაპარაკა თავისთვის ვარდენმა.

მართლაც ვარდენის ძმის-წულმა მცინარა სახით შემოაღო ზალის კარები. ვარდენი შეუძღვა მეორე ოთახში, გადითვალა შვიდი ათ თუმნიანი, ჩაკეტა უჯრაში, მერე გამოვიდა, ბიჭს დაუძახა: ხმალი და შინელი მომეციო. საათის პირველი იყო, ვარდენ ვაჩეშვილი რომ ბანკის დარბაზის კიბეზე შედიოდა. იმას უკან მიჰყვებოდა მრავალი თავად-აზნაურობა.

VI

ვარდენმა ბანკის დარბაზში ხელი გადისვა ულვაშებზე, წელი გაიმართა, თვალები გამოჭიმა და მიიხედ-მოიხედა. იქ ბევრი არავინ იყო მისის მაზრის თავად-აზნაურობა. თითო-ოროლა ვინც ერია, ყველანი მხიარული სახით შეხვდენ ვარდენს, იმანაც თვალით ანიშნა, ყოჩაღადა ვართო. შემდეგ მივიდა ერთს თავის აგენტთან, გაიხმო კუთხეში და დიდხანს ეჩურჩულებოდა. ნახევარს საათს იქით გა-

*) იხ. „ივერია" № 95.

ლეობას. მე-2 კლასის მოწაფე ანდრონიკაშვილი ორკესტრში კორნეტ-ა-პისტონზე დაუკრავს. 1 კლასსის მოწაფე ბურჯანაძე მარტო დაუკრავს სკრიპკაზე გაუზერის პიესას „სიზმარს“. იმღერებენ აგრეთვე ქართულად „მრავალ ჟამიერს“.

*** სოფელ სარაკამიშში ყარსისკენ 13 აპრილს ცხოველი სურათები დაუდგამთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. ამ საქმის მოთავე ყოფილა ე. ლ. გურგენიძისა. შემოსავალი იყო სულ 72 მან. ხარჯი 16 მან., დანარჩენი 54 მან. გაეგზავნა საზოგადოების წევრს ქეთევან ჟურულს კუთვნილებისამებრ გარდასაცემადაო. კორრესპონდენტი მადლობით იხსენიებს როგორც ე. გურგენიძისას, ისე ა. მ. უშაკოვისას და ყველა იმათ, ვინც ამ სამადლობელს და კეთილს საქმეში მონაწილეობა მიიღეს და შრომა არ დაჰზოგეს.

*** უცნაურს ამბავსა გვწერენ ქართლიდამ: კასპის რკინის გზის სადგურზე, არ ვიცით ვისის განკარგულებით, თითოეულ გაზეთის ნომერში, რომელსაც ვიღებთ ფოსტით, გვახდევინებენ სამ-სამ კაპეიკსაო. საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ დაადო ასეთი ხარჯი და ბეგარა გაზეთის მკითხველებს. პირველად რომ ასეთი ამბები გვიამბეს, ჩვენ არ დავიჯერეთ, მაგრამ როცა ესევე გადმოგვცა დუშეთის მაზრის თავად-აზნაურების წინამძღოლმა თ. დავით ივანეს-ძემ ერისთავმა, ჩვენ არ შეგვეძლო არ დაგვეჯერებინა. თ. ერისთავს ეს ამბავი გამოუცხადებია კიდეც რკინის გზის მმართველობისათვის, რომელსაც უპასუხნია, რომ მაგ გვარის საქციელის ნება არავის არა აქვს რკინის გზის სადგურზეო.

*** ასეთსავე ამბავს გვწერენ გურიიდამ, ნიგოითის რკინის გზის სადგურიდამ: აქაც შემოიღეს უცნაური წესი და სამ-სამ კაპეიკს გვახდევინებდნენ ფოსტით მიღებულს წერილში, მაგრამ ეს წესი ამ ჟამად მოსპესო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ თვეის 15—16 რიცხვში, ღამის 12 საათზე, ტფილისის ფოსტის ჩაფარს გიგა ფილიაშვილს მოუკლავს სოფ. დიღომში მცხოვრებელი მიხა კენჭაშვილი. აი თურმე როგორ ყოფილა ეს ამბავი: ჩაფარს ფილიაშვილს თავისი რიგი შეუსრულებია და უკან დაბრუნებულა დიღმის ფოსტიდგან. ვერის იქით, გაბაშვილის ბაღთან, გზის-პირას ცხენი მოუძოვებია, ერთი კონა ბალახიც მოუგლეჯია და თან წამოუღია ბინაზედ. ვერაზე რომ ჩამოსულა, ოთხი იარაღიანი კაცი დაჰხვედრია, დაუჭერიათ ჩაფარი და უკან დაუბრუნებიათ. საბურთალოზე ბოლოს დუქანს რომ გასცდენილან, ცემა დაუწყიათ ჩაფრისათვის და თოფრისა და ცხენის წართმევა მოუწადინიათ, როგორ თუ ბალახი მოგიგლეჯიაო. ჩაფარს ყვირილი დაუწყია: მიშველეთ, ქრისტიანი ვინა ხართო! ამ დროს მედუქნეები გამოსულან და როგორც ყოფილა გაუშველებიათ. ჩაფარი შემჯდარა ცხენზედ და წამოსულა. იმ დროს იმათგანვე სამი კაცი მოკლე გზაზე გამოსდგომიან და ვერის ხიდის იქით წინ დაჰხდომიან, ცხენიდგან ჩამოუგდიათ და დაუწყიათ ცემა. ჩაფარსაც ამოუღია ხანჯალი და კენჭაშვილისათვის ფაშვები გადმოუყრევინებია, მეორეც კანჭში დაუჭრია და გაქცეულა თავის „პოსტისკენ“; თითონაც ორგან ცოტად დაჭრილა ხანჯლით. ცხენი გამოჰქცევია უნაგირ მოქცეული და ქალაქში პოლიციის მოხელეს დაუჭერია. როცა ქალაქის პოლიციას შეუტყვია ეს ამბავი, დაჭრილები ფაეტონით საავადმყოფოში გაუგზავნია, სადაც რამდენისამე საათის შემდეგ გარდაცვლილან. საქმე გამომძიებლისათვის გარდაუციათ.

*** ქართლიდამ გვატყობინებენ: აგერ ერთი კვირაა, რაც განუწყვეტლივ სწვიმს; წლევანდელმა გაზაფხულმა ლამის სულ წვიმებით გაიაროს; ამის გამო ძლიერ ბალახობაა; დიდძალი თივა მოვა; ყანები-კი ზოგან-და-ზოგან თხელია და ბალახი მოერია. ამისთანა ამინდი სიმინდს და ფეტვს ძალიან ხელს უწყობსო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სურამი.** როგორც იყო გვაშველა და სურამში დაარსდა სასწორი და საყასბო. ეს კეთილი საქმე და დაწესებულება ბევრს აქაურს პაწაწინა ვაჭრებს და მომეტებულად ურიებს არ-ფრად ეჭაშნიკათ და არ ესიამოვნათ. აი რად იამებოდათ, როდესაც ამათ აღარ შეეძლებათ მოტყუება ჩვენის საწყალი სოფლელებისა, რომელთაც, მოუსვლიდებოდნენ თუ არა სურამს, დახვდებოდნენ ხოლმე აქაური პატარა ვაჭრები და ჩარჩები. ეს უკანასკნელნი ატყუებდნენ სოფლელებს და მუქთად ინარჩუნებდნენ და ყიდულობდნენ: პურსა, სიმინდსა, ლობიოსა, კართოფილსა, კომბოსტოსა, ქათამსა, ღორსა, ყველსა, ყურძენსა და სხვა-და-სხვა ხილეულობას. ეს ჩარჩები შემდეგ ერთი-ორად, ერთი-სამად ჰყიდდნენ და ასაღებდნენ აქაურებზედა და საზაფხულოდ მოსულ ხალხზედ. ეხლა-კი ეს აღარ იქმნება. უკვლივე სასწორზედ მოვა და იქ იქნება ვაჭრობა პირ-და-პირ სოფლელს და სურამს შუა.

ამ მაისის ორს საჯარო ვაჭრობა იყო. სასწორი და საყასბო იჯარით გაიცა. ამ ვაჭრობაში ქართველებმა გაიმარჯვეს და ამათი ცოტა არ იყოს ზოგიერთს სომეხს გული დაუწყდა. სასწორი დაინარჩუნა გლეხმა ნინიკა ქიმერიძემ წლიწადში 176 მანათად, საყასბო-კი დარჩა აზნაურს ტატო ზურაბის ძეს მურმანაშვილსა წლიწადში 276 მან. ასე რომ წინა პირველს წელში სასწორი და საყასბო მისცემს სურამის საზოგადოებას 452 მანეთს სარგებლობასა. შემდეგში-კი, რასაკვირველია, იმატებს იჯარის ფული ერთი-ორად. იმედია, რომ ამ ფულით სურამელები წინა-პირველად აქაურს ერთკლასიანს სასწავლებელს სახლს აუშენებენ და აგრეთვე შესძენენ სკოლას სახელ-მძღვანელო წიგნებსა: „ბუნების-კარსა“ და „დედა-ენას“ ი. გოგებაშვილისას, რომელთა რიცხვი ძრიელ ცოტაა აქა. აქ არ მოიპოვება აგრეთვე „დედანი“ იაკობ გოგებაშვილისა, რომლის უქონლობით ბავშვები ცუდ-უგვანს ირიბულს ხელსა სწერენ. ამ სკოლაში მასწავლებლად არის ბ-ნი ალექ. ცომაკურიძე, რომელიც კარგად და რიგიანად ასწავლის ბავშვებსა. ურიგო არ იქნებოდა, რომ ბ-ნი ცომაკურიძე ირიბულს ხელის წერას დაავიწყებინებდეს ბავშვებს და ამის მაგივრად ასწავლიდეს პირ-და-პირს მრგვალს ხელს, ერთის სიტყვით ისე, როგორც იაკობ გოგებაშვილის „დედანშია“ დაწყობილი და დაწერილი ასოები.

—

სურამელების თხოვნა მთავრობისაგან შეწყნარებულ იქმნა: აქაურს ტელეგრაფში ფოსტის განყოფილებაც დაარსდა. შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ აქ, სურამში, უკვე ფოსტაა გამართული, ამიტომ გაცნობებთ იმათ, ვისაც-კი ჰსურთ, გამოგზავნონ პირ-და-პირ ფოსტით სურამში: წერილები, ფულები და სხვა-და-სხვა ნაირი ამანათები თავიანთ ნათესავების და ნაცნობების სახელზედ.

—

ქურდებმა აქეთკენაც იჩინეს თავი. ამ თვეის სუთს, ღამე, ხაშურის ეკლესია გაუტეხიათ და წაუღიათ შემდეგი საეკლესიო ნივთები: სასარკე—12 მან., ტაკუკი—80 მან., ტილოს ოდიკი—2 მან., ზეთის და მიროსის ჭურჭელი თავის მოწყობილობით—1 მან. და 50 კაპ.; წაუღიათ ქურდებს აგრეთვე 5 მან. და 50 კაპეიკის თეთრი წმინდა სანთელი. სულ 21 მან. და 50 კაპეიკის ნივთები მოაკლდა ეკლესიასა. ქურდები ჯერ ვერ უპოვნიათ. ვითომ ეს ქურდები იმ ლეკებთაგანი არ უნდა იყვნენ, რომლებიც აქ ახალს გზაზედ მუშაობენ? როგორც დღეს გავიგე, სოფელ ტეზრის წისქვილს დასცემიან კიდევ ლეკები და, რადგანაც წისქვილში ყოჩაღი მეწისქვილეები ყოფილიყვნენ, ბევრი ვერაფერი წაუღიათ ლეკებს, გარდა მეწისქვილეს ჩოხისა და შალვრისა. ეგებ ამ შემთხვევამ მაინც მიაქციოს პოლიციას ყურადღება. პოლიციამ უნდა აღუკრძალოს ლეკებს სოფელ-სოფელ სიარული, რადგანაც ლეკები აქეთ თითქმის მუდამ დღე დადიან და თხოულობენ პურსა და ხორაგს; ამავე დროს ესენი, მე თვითონ შემინიშნავს, ათვალიერებენ სახლებს, ბეღლებს, წისქვილებსა და ეკლესიებს.

ლეკებს გარდა აქ ბევრი თათრებიც არიან წრეულს სამუშაოდ მოსულნი. გუშინ სურამში სამოცი კაცი მეტი მოვიდა, დაითვრნენ (?) დუქნებში და შემდეგ ერთი აყალ-მაყალი და ჩხუბი გამართეს რაღაცაზედ. ამ ჩხუბში ორს თათარს თავი გაუტეხეს. ამ მოჩხუბართა სიახლოვეს იდგნენ ვიღაც რუსები. როგორც იმათ ლაპარაკიდგან გავიგე, ისინი ძრიელ ემდურებოდნენ ვიღასაც: ჩვენ იმასთან ვმუშაობთ, საქმეს ვაკეთებთ და ფულებს არ გვაძლევსო. ამას ამბობდნენ როგორც რუსები, ისე სხვა რჯულის მუშებიც. ვინ არის ეს გზის მეიჯარადრე და მართალია თუ არა მუშების სამდურავი და საჩივარი, ჩვენ არ ვიცით.

—

რვა მაისს ხაშურის სიახლოვეს დღეობა იყო. ამ დღეობას აქ „გორათობას“ ეძახიან, რადგანაც ეს ეკლესია პატარა ამაღლებულს გორაკზეა აშენებული. როგორც ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს და გვეუბნება, ეს ეკლესია მეთორმეტე საუკუნეშია აშენებული ბრწყინვალე თამარისგან. ამ ადგილზედ ეკლესიის აშენება გამოუწვევია შემდეგს შემთხვევასა: ამ სურამის ხეობაში დედოფალს თამარს დიდი გაცხარებული ომი თურმე ჰქონია თათრებთან. დედოფალს თავისის ჯარით თათრობა ძრიელ დაუმარცხებია და დაუმლევია. ბრძოლის შემდეგ ბრწყინვალე თამარი დამდგარა ერთს ამაღლებულს ადგილს და გულითადი მადლობა გადაუხდია მეომარ ქართველებისათვის და აგრეთვე დაუსაჩუქრებია ზოგნი შესანიშნავნი მეომარნი. ამ ბრძოლის დროს დიდი ტალახი ყოფილა. ტალახიანის ფეხებით მოდიოდნენ თურმე ქართველები თამართან და მადლობის თქმისათვის ესენიც მადლობას უძღვნიდნენ დედოფალსა. ამ რიგად თამარის გარშემო იმდენი ტალახი მოგროვებულა, რომ კარგა მოზრდილი გორაკი ამაღლებულა. აი ამის ნიშნად და ამ ომის მოსაგონებლად აუშენებია საქართველოს დედოფალს ეკლესია იოანე ღვთის-მეტყველის სახელზედ. ეს ეკლესია დღეს შიგნით მინგრეულ-მონგრეულია და კარგი იქმნებოდა ამ ეკლესიის გამარ-

---

მოვიდა დარბაზში ბანკის მმართველიცა, ის მხიარული სახით მიეგება ვარდენს. იმათ ერთ კუთხეში გააბეს საიდუმლო მოლაპარაკება. მეორე კუთხეში ვარდენის მომხრეებმა ჩაიჭირეს მისი აგენტი და ჰკითხავდენ საქმის გარემოებას. ამ დროს პარტიის მომხრენიც თან-და-თან უფრო ბევრი გროვდებოდენ. ვარდენის აგენტმა ყველანი დააჯერა, რომ საქმე კარგად არის და ზოგნი თვალის ქნევით სალამოს ექვს საათზე დაიპირა ვაჩეშვილის სახლში.

ამ დროს მოწინააღმდეგე პარტიის კაცებმა ასტეხეს ხმა-მაღლა ლაპარაკი. ისინი ატყობდენ, რომ ბანკის მმართველის მომხრეებს შორის რაღაც მოლაპარაკება იყო და შეკავშირება.

— ახირებულია, თქვენმა მზემ, წამოიძახა ერთმა. ეს ხუთი დღეა სოფლიდან ჩამოვსულვარ. მას აქედ ვიცდი და ჯერ ყრილობაც არ ყოფილა. გაგონილა? ეს საზოგადოების ჩაუგდებლობაა. როგორც უნდათ, ისე გვეპყრობიან. მაგათ რა უჭირთ? ჯამაგირები ცალკე აქვთ, სახლობა თვით ამ ქუთაისში ჰყავთ. მე, ჩემო მამაო, რაჭიდან გახლავარ! ეხუმრები იქიდან აქ ჯორითა და კაცით ჩამოსვლას! აქ წყალშიაც ფული უნდა ვაძლიო. მამაჩემი არ წამიწყდება, ამ ხუთს დღეში ოც მანეთამდის მაქვს დახარჯული. თუ არის კენჭის ყრა, ბარემც ვუყაროთ და ის იქნება.

— ბატონო, არავინ არის ჯერ მოსული!.. უპასუხა ვარდენმა.

— როგორ არავინ არის? ჯერ ვინც აქ ვართ მოგროვილი, ისინიც იქნებიან ასამდის. ბულვარში კიდევ ერთი ამდენია.

— ქვემო-იმერეთიდან და სამეგრელოდან ჯერ არავინ მოსულა.

— რატომ არ მოვიდენ, ბატონო? მე თუ ჯორით რაჭიდან ჩამოვედი, იმათ რკინის გზით ველარ მოატანეს ქუთაისამდის?.. მაგრამ, როგორც ეტყობა, აქ სხვა ანგარიშებია. გინდათ გააჭიანუროთ მანამდის, სანამდის თქვენი პარტიის კაცები სულ არ შეიკრიბება.

— არა, ეგ არ იქნება—წამოიძახა ერთმა ლეჩხუმელმა მებატონემ.

— თქვენმა მზემ, ეგ არასფერს არა ჰგავს.—უპასუხა თვალების ქაჩვით ვარდენმა. როგორ იქნება მაგისთანა ლაპარაკი. იჭვები რა თქვენი საკადრისია?..

ის გავიდა აჩქარებით მეორე ოთახში, სადაც ზედა-მხედველის კამიტეტის სხდომა იყო. იმას შეჰყვა ბანკის მმართველი. ამას შემდეგ თავად-აზნაურობამ კიდევ უფრო მორთო ყვირილი: „კენჭი, კენჭიო“—იძახოდენ.

მეორე ოთახში დიდი ამბით მიიღეს ვარდენ ვაჩეშვილი. თუმცა თვით ბანკის წესდებულება ცხადად ამტკიცებდა, რომ ზედა მხედველის კამიტეტის სხდომაში არც ბანკის მმართველსა და დირექტორებს, არც არავის გარეშე პირს უფლება არ ჰქონდათ დასწრებოდენ; მაგრამ ზედა-მხედველის კამიტეტის თავს-მჯდომარემ ყურადღებაც არ მიაქცია ამ ნაირს უწესოებას. ის კი არა, თვითონ იმან მიართვა სკამი ვარდენსა და ბანკის მმართველს და შემდეგ განაგრძო ბანკის წლიურს ანგარიშზე ბაასი.

ზედა-მხედველის კამიტეტის თავს-მჯდომარე იყო ერთი ღვთისნიერი ადამიანი. თავის თავად არც „ჰო“-ს თქმა შეეძლო და არც „არა“-სი. ის იყო ერთი გონებით განათლებული კაცი, სამსახურში ბეჯითი ჩინოვნიკი; იმან დაიმსახურა კარგი გამოჩენილი ალაგი თავისის მშვიდობიანის და წყნარის ხასიათის წყალობით. უნივერსიტეტში ის და ბანკის მმართველი თითქმის ერთად იზრდებოდენ. უწყინარობის გამო ამხანაგები ეძახდენ მას „მოხარშულს ვარიას“. თუმცა არც უნიჭო კაცი იყო, არც უცოდინარი, ბევრი ნაკითხიცა, მაგრამ სუსტ აგებულებასთან სუსტ ზნეობითს ძალასაც იჩენდა. ცხოვრებაში იმას თავისი საკუთარი მსჯელობა და აზრი არ ჰქონდა; მისი გულის პასუხი ეკუთვნოდა იმ ამხანაგს და მეგობარს, რომლის გავლენის ქვეშაც მოხვდებოდა. ამ კაცს ბანკის წესდებულებისამებრ უფლება არ ჰქონდა, რომ ბანკის კრებაში მონაწილეობა მიეღო; მაგრამ გაჭირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო, აქაც ასე მოხდა.

ბანკის მმართველი მეტად გაჭირებაში ჩავარდა გონება-გახსნილის კაცების წინააღმდეგობით. ზედა-მხედველს კამიტეტს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბანკის კრებებში. კამიტეტის თავს-მჯდომარეს როგორც უნდოდა, საქმეს ისე ატრიალებდა კრებაში; რა აზრიც უნდოდა, იმ აზრს გაატარებდა, რაც არ უნდოდა, იმას უარს აყოფინებდა საზოგადოებას. ამისთვის ზედა-მხედველის კამიტეტის თავს-მჯდომარედ იმისთანა კაცი უნდა ყოფილიყო, რომ ბანკის მმართველს დამორჩილებოდა და ყოველივე მისის განზრახვის თანახმად ეკეთებინა.

წინა წლებში, როცა ბანკის მმართველი პირველად ამოირჩიეს, ამ ამბავმა ფრიად შეაწუხა ის მცირე წრე განათლებულის კაცებისა, რომელნიც სიტყვით და კალმით უქადაგებდენ საზოგადოებას ცუდს შედეგს ამისთანა შემთხვევისას. არავის არ სწამდა, რომ უწესო მოქმედების გამო ბანკს სამინისტრო არ დახურავდა. ყველას ეშინოდა თავის გასვრისა და ამის გამო ვისაც სთხოვეს ზედა-მხედველის კამიტეტის წევრობა, ყველამ უარი თქვა.

ამორჩეული ბანკის მმართველი ამ გარემოებამ ძლიერ ჩააფიქრა. ბოლოს გადაწყვიტა თავის პარტიის შემწეობით „მოხარშული ვარია“ მოეპატიჟებინათ კამიტეტის წევრად. მაგრამ ამას ერთი დაბრკოლება ჰქონდა. „მოხარშული ვარია“ ბანკის წევრად არ ირიცხებოდა და ამის გამო უფლებაც არ ჰქონდა არჩევანში შესულიყო. ბანკის მმართველმა სძლია ამ დაბრკოლებასაც. იმან შეიტანა ოც-და-ხუთი მანეთი საწევრო ფული ბანკში და ჩაარიცხვინა «მოხარშული ვარია» ბანკის წევრად; შემდეგ უყარეს კენჭი და ერთ ხმად ამოირჩიეს. მოწინააღმდეგე პარტია, რა-კი მათი კანდიდატი ბანკის მმართველობისა გაშავდა, ისე დაიფარცხნენ, ერთსაც აღარავის მოუცდია ბანკის დარბაზში. იქ მხოლოდ ახლად ამორჩეულის მმართველის მომხრენი რუზრუზობდენ. აბა, ვინღა ჩაუგდებდა შავს „მოხარშულს ვარიას“. ამ სახით ახალმა ბანკის მმართველმა სრულიად მიაღწია თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისა და გაწყობაზედ ვისიც რიგია, ეზრუნა.

[illegible]

ქართლში-კი, როგორც მნახველები ამბობენ, ყანებიც კარგია და სიმინდების თესვაც უკვე გათავებულიაო. ვენახები წრეულს ჩვენსკენ კარგი და სანაქებოა. ვაზები საამურად არის დახუნძლული პაწაწინა ისხიმის მტევნებითა. თუ ღმერთმა მოგვხედა და წმინდა, მოწმენდილი ცა დაიჭირა, შარშანდელზედ უფრო ბევრი ღვინო მოვა წრეულსა.

გუშინ წინ და გუშინ კარგი ღონიერი წვიმა იყო სურამის ახლო-მახლო სოფლებში.

ს. ლონლაძე

---

**ჩურუქ-სუ**, 13 მაისს. ვინც დააკვირდება ამ ადგილის სახელ-წოდებას, ის ნათლად დაინახავს, რომ ეს ადგილი ჭაობებით უნდა იყოს სავსე. ჩურუქ თათრულია, ქართულად დამპალს ნიშნავს; სუ ხომ წყალია; ჩურუქ-სუ—დამპალი წყალი. ეს ადგილი ნაწილია ქობულეთისა, რომელიც თავის მხრივ ნაწილია მესხეთისა. როგორც ვიცით ჩვენის სამშობლო გეოგრაფიიდგან, საზოგადოდ ქობულეთს, ნაწილს მესხეთისას, უჭირავს ქვა-კლდიანი ადგილი. ჩურუქ-სუ ზღვის პირად სძევს. ეს ადგილი მეტის-მეტად დაცემულია. ეს არის მიზეზი, რომ აქ ავდრებში ბევრს ადგილას იცის ჩადგომა ჭაობებმა. ჭაობები, როგორც ბუდე ათას გვარის მაზმებისა, სწამლავს ჰაერს. აქედგან აიხსნება ის გარემოება, რომ ჭაობიანი ადგილები საზოგადოდ მავნებელნი არიან ჯან-მრთელობისათვის, სოფლები ალამბარი, სამება, პატარა ქობულეთი, ხუცუბანი, რომელნიც ჩურუქ-სუს სამხრეთით არტყიან, უფრო მაღლობ ადგილზე სდგანან. ჰავაც იქ ბევრით უკეთესია, ვიდრე ჩურუქ-სუში.

ჩურუქ-სუ პატარა დაბაა; რკინის გზის სადგურიდგან ჩრდილოეთით სძევს. ამ პატარა დაბას თავის შესაფერი ვაჭრობაცა აქვს. ვაჭრობა გურულების და ადგილობრივის მაჰმადიან ქართველების ხელშია. არიან შიგა-და-შიგ ბერძნებიც. ღმერთო ჩემო, რა ნაირად გადაერჩებულან აქაური ბერძნები: ვერც სახით, ვერც ლაპარაკით, ვერც ჩაცმა-დახურვით ვერ გამოარჩევთ ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებისაგან. აქ, ჩურუქ-სუში, სცხოვრობს ასის-თავი გურიის ქვეითა ჯარისა ბ-ნი ი. დუმბაძე, აქვე არის საკორდონო საბაჟოს განყოფილება, მაზრის უფროსი თვისის საპწერლოთი და ხელ-ქვეითის მოხელეებით. მაზრის უფროსი დენისოვი ახლად გაუმწესებიათ პეტერბურგიდგან. საქართველოში უფრო დაბადებული ეს ბატონი. ძალიან ემადლიერებიან ადგილობრივი მაჰმადიან-ქართველები აქაურის მაზრის უფროსის თანაშემწეს ბ-ნ აროზელიძეს, რომელიც სინიდისიერად თურმე ეკიდება თავის მოვალეობას. აქაურს მკვიდრთა შორის თვალ-საჩინო გვარნი პირებად ითვლებიან გულ-აღა კაიკაციშვილი, დედე-აღა ნიჟარაძე, ასლან-ბეგ თავდგირიძე და სხ. დედი-აღა ნიჟარაძე და გულ-აღა კაიკაციშვილი მთელს ბათუმის მაზრაში სამაგალითონი არიან იმითი, რომ ამათ თავიანთი შვილები ტფილისის თავად-აზნაურობის სასწავლებელში მიაბარეს და მით დაგვაახლოვდნენ უფრო მჭიდროდ, ვიდრე სხვები.

ჩურუქ-სუში სცხოვრობენ ასამდის მოსახლე რუსები, რომელთაც აქ ახალშენი გაუკეთებიათ აგერ ქვსი წელიწადია მასუკან. რუსები სცხოვრობენ ჩურუქ-სუში აღმოსავლეთის მხრივ. კაი ადგილი მიუცია ამათთვის მთავრობას, მაგრამ ჯერ რიგიანად ვერ მოთავსებულან ახალ ქვეყანაში, ახალ ადგილში. საკვირველიც არ არის: უნდა შეეჩვივნენ ადგილობრივს ჰავას, შეითვისონ ადგილობრივი თვისება აქაურის ბუნებისა, მიწისა, ნიადაგისა. აქაური ნიადაგი სიმინდს და ბაღოსნობას უწყობს ხელსა. ამ გვარს მიწის შემუშავებას რუსეთის მცხოვრებელი ერთბაშად ვერ შეიშნევს, ესამუხება. აი მიზეზი იმ უკმაყოფილებისა, რომელსაც უცხადებენ ახალი მოშენე რუსები თუ მთავრობას და თუ მთავრობის კერძო კაცებსა. მიზეზმიზეზ დოს მართლი აკლიაო, სწორედ ასე მოსვლიათ ახალ მოშენე რუსებს. არც გაუციებიათ, არც გაუცხელებიათ, ამდგარან და მთავრობისათვის უთხოვნიათ, რომ ჩვენი მოუთავსებლობის მიზეზი ის არისო, ცუდი ადგილები გვიჭირავსო, „ფიჭვნარი“ მოგვეცითო. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ყბად-აღებული ფიჭვნარი საუკუნოებიდგან შეადგენდა და შეადგენს ადგილობრივ მკვიდრთა საკუთრებას. მთავრობამ ცივი უარი უთხრა ახალ-მოშენეებს. ამ აზრით ძალიან აღმაცერად უყურებენ ახალ-მოშენენი მაჰმადიან-ქართველებს. ეს ერთმანერთის შეუთვისებლობა ძალიან უცარავს ხელს ახალ-მოშენეთა, რომელნიც ადგილობრივ მკვიდრთ ისე უნდა უყურებდნენ, როგორც მასწავლებლებს, რადგანაც ესენი უფრო გამოცდილნი არიან ყველაფერში, ვიდრე ახალ-მოშენენი.

აქაურმა სოფლელებმა ალამბარმა, სამებამ, პატარა ქობულეთმა და ჩურუქ-სუმ განჩინება შეადგინეს და მიჰმართეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, რომ მან მიღოს თავისის მფარველობის ქვეშ. სასკოლო სახლს იძლევა დაბა ჩურუქ-სუში აქაური ბეგი ასლან თავდგირიძე. სახლი გვარიანია, ეზო დიდი აქვს, ასე დიდი, რომ აქ მშვენიერი ბაღიც გაკეთდება. სკოლას ცოტა შეკეთება უნდა. 15—16 თუმანზე ზევით არ გამოართმევს ბეგი ქირას „საზოგადოებას“, თუ მისი სახლი იქირავეს.

ბათუმელი

---

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ამას წინად ვენგრიის დეპუტატთა პალატაში ერთს სამინისტროსის მომხრეს სიტყვა წარმოუთქვამს და სხვათა შორის უთქვამს, რომ ავსტრი-ვენგრია წინააღმდეგობას არ გაუწევდა რუსეთს ჯარი ჩეეყენებინა ბოლგარიაში, თუ თითონაც დაჯილდოვებულიყო შესაფერის ჯილდოთიო. ამ სიტყვებს დიდს მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ეს დეპუტატი მთავრობას დასის მომხრეაო.

— გაზ. „Morn. News“-ი ამბობს: ხმა გავრცელეს, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას განზრახვა აქვს ბოლგარიის მთავრად რუმინიის კოროლი კარლი ამოირჩიოსო. ამბობენ, რომ ამ სურვილს ბოლგარიის მთავრობისას მფარველობენ ინგლისი და გერმანიაო. ამ გავრცელებულს ხმას დიდად შეუშფოთებია თურმე სერბიის კოროლი.

— გაზ. „République Francaise“-ის რომის კორრესპონდენტი ამბობს, რომ ბისმარკი აქეზებს ავსტრიას რუსეთს წინააღმდეგობა გაუწიე ბოლგარიის საქმეში, რომ რუსეთი ამ საქმეში გაბას და თითონ ისე გაუმკლავდეს საფრანგეთსაო. ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა დიდის სიამოვნებით მოიწვევდა დიდს საერო კრებას და მთავარს ამოირჩევდა ბოლგარიის სამთავრო ტახტზე, ავსტრი-ვენგრია რომ დათანხმებულიყო ბოლგარიის საქმის ასე გადაწყვეტასაო; მაგრამ ავსტრია შიშობს, კაი თუ ამის გამო რუსეთთან ომი მომახდესო. შიშობს, გერმანია ვერ მომეხმარება, რადგან საფრანგეთის საქმეში იქნება გაბმული, და რაც-კი იტალიას შეეხება, კაი თუ რუსეთთან ბრძოლის დროს, იტალიამ ისარგებლოს დროთი და ჩამომაცალოს, თავის პროვინციები რომელიც ამ ჟამად მე მიჭირავსო.

— „რეიტერის სააგენტოს“ დეპეშით აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ რუსეთი და გერმანია ამ ბოლოს დროს მეტად დაუახლოვდნენ ერთმანერთს და მეგობრული განწყობილება ჩამოვარდა ამ ორთა სახელმწიფოთა შორისო. გაზ. „Neue Freie Presse“-კი ამბობს, რომ ტყუილია ის ამბავი, ვითომ გერმანია და რუსეთი დაუახლოვდნენ ერთმანერთსაო.

**საფრანგეთი.** გაზ. „Новости“-ს სწერენ, რომ ფრეისინემ იკისრა ახალის კაბინეთის შედგენა და დიდი ბაასი ჰქონდა ამ საქმესთან ფლოკესა და კლემანსოსთანაო. კლემანსოსა და ჟულ ფერრის მეგობრებს ლაპარაკი მოსვლიათ იმის გამო, რომ ახალს კაბინეთშიაც სამხედრო მინისტრის თანამდებობა ბულანჟეს მიენდოს, თუ არაო. დღევანდელის დეპეშებიდგან ვიცით უკვე, რომ ფრეისინეს ხელ-ახლად უარი უთქვამს, კაბინეთს ვერ შევადგენო.

— პარიჟში, ერარის დარბაზში, 14 მაისს, საზოგადო კრება ჰქონია ელზას-ლოტარინგელთა მფარველს საზოგადოებას. კრებაზე თავს-მჯდომარედ ყოფილა ამ საზოგადოების დამაარსებელი და პრეზიდენტი გრაფი დ'ოსსონვილი. ამ საზოგადოებას ყველა იმ ელზას-ლოტარინგელებზე, რომელნიც თავის ქვეყნიდგან იყრებიან და იხიზნებიან, 1,612,039 მანათი დაუხარჯავს. გახიზნულებისათვის ეს საზოგადოება სხვა-და-სხვა დაწესებულებაში ადგილებსა ჰშოულობს; გახიზნულთა შვილებისათვის და ობლებისათვის ცალკე თავ-შესაფარი აქვს გამართული საზოგადოებას. ამავე საზოგადოებას ალჟირში სამი სოფელი დაუარსებია განსაკუთრებით ელზას-ლოტარინგიიდგან გადასახლებულებისა და გახიზნულებისათვის; ელზას-ლოტარინგიიდგან გადასახლებულს ალჟირში მიწებს აძლევენ და კარგადაც ეწყობიან თურმე.

— საფრანგეთის მთავრობას წინააღმდეგობა გამოუცხადებია ეგვიპტის საქმის დასაბოლოვებლად შედგენილ პროექტის იმ მუხლისათვის, რომელშიაც ნათქვამია, რომ ვინიცობაა ეგვიპტეში რაიმე ამღვრეულობა და არეულობა მოხდა, წესიერება და მშვიდობიანობა ამ ქვეყანაში ინგლისმა და ოსმალეთმა უნდა ჩამოაგდონ თავის ჯარებითაო. საფრანგეთის მთავრობას უთქვამს, რომ ეგვიპტეს, ექსლანდელის საერთა-შორისო ხელშეკრულობათა თანახმად, ყველა დიდნი სახელმწიფონი უნდა მფარველობდნენო.

**ავსტრი-ვენგრია.** ვენაში მისულა ფარულად დანიის დედოფალი თავის ქალის, ჰერცოგის ცოლის ტირეს სანახავად.

— „Journal des Debats“-ი ამბობს, რომ ავსტრი-ვენგრიას განზრახვა აქვს მიტროვიცა დაიჭიროს თავის ჯარე-

---

ვის გულის წადილს. ერთი რომ თვით გახდა ბანკის მმართველი, მეორე რომ ზედა-მხედველის კამიტეტის თავს-მჯდომარედ ისეთი კაცი იშოვნა, რომ მისი ყურ-მოჭრილი ყმა იქნებოდა. მას აქეთ გავიდა ხანი მეორე არჩევანამდის. აი, ის დროცა.

ქუთაისის ბანკის დარბაზი ხელ-ახლა გაცოცხლდა მეკენჭეების ყრილობით. იმ დღეს ზედა-მხედველის კამიტეტის სხდომა მეტად გამწვავდა. ბაასი გაიმართა, როგორც ზემოდ ვთქვით, წლიურის ანგარიშების გამო.

ნამდვილი ანგარიშით გამოდიოდა, რომ ბანკს ეზარალნა ასოცი ათასი მანეთი. შემოსავალი იყო სამოც-და-ათი ათასი მანეთი. როგორც კამიტეტის წევრებს, ისე ბანკის მმართველს, სურდათ, რომ სამოც-და-ათი ათასი მანეთი ნაღდ შემოსავლად ეჩვენებინათ და იქიდან სარგებლის თავი ბანკის მოსამსახურეების სასარგებლოდ გაეყოთ. „მოხარშულ ვარიას“ ჰსურდა, სამოც-და-ათი ათასი მანეთი ნაღდ შემოსავლად ეცნო და ამ შემოსავლიდან დაერიგებინა პროცენტები ბანკის მოსამსახურეთათვის. ამ დასარიგებელს ფულში სამეფო წილი ბანკის მმართველს უნდა ხვედროდა. კამიტეტში მხოლოდ ერთი წევრი გამოჩნდა სარგებლის თავის განაწილების წინააღმდეგი. ის გაცხარებულად ამტკიცებდა, რომ ეს სამოცდა-ათი ათასი მანეთი ნაღდი შემოსავალი არ არისო. ის კი არა, ბანკს პირ-იქით ას ოცი ათასი მანეთი ზარალი აქვსო ვაჭრობით ბანკზე დარჩენილის მამულების გამოო, და თქვენ კიდევ ამ ზარალს პროცენტების აღებით მეორე ზარალი რომ მიუმატოთ, ეს რა წესი და რიგიაო? საზოგადოებას განა ის არ ეყოფა ტყავის გაძრობად, რომ ამდენი მამულები ხელიდან წაუვიდა და თქვენ პროცენტების ჩაჯიბეით გინდათ კიდევ მეორე წყება ტყავი გააძროთ... არა, მე მაგას არ მოვითმენ, არც გეთანხმებით და არც ხელს მოვაწერ თქვენს გადაწყვეტილებაზეო.

ამისთანა წინააღმდეგობაზე ყველა შესწუხდა; არც ერთს მოსამსახურეს არ სურდა ბანკის გამგეობაში, რომ პროცენტების უარი ეთქვა და მსუქანი ლუკმა დაკარგვოდა. მაგრამ ამასაც შიშობდენ, ვაი თუ ამ ერთმა წევრმა გამოგვაცხადოს საზოგადოების წინაშეო და ნდობა დაგვეკარგოსო. ამიტომაც სხვა ხრიკები რომ ველარა მოახერხეს-რა, დროებით შესწყვიტეს ბაასი. „მოხარშული ვარია“ გაიხმო ბანკის მმართველმა სალაპარაკოდ. იმან ურჩია ვარდენვაჩეშვილი მოეპატიჟეთო კამიტეტის სხდომაში და იქნება იმან თავის ოინებით იქონიოს გავლენა წინააღმდეგს წევრზეო, თორემ სხვა ღონე არა გვაქვს-რაო.

## VII

მოწინააღმდეგე წევრი კამიტეტისა იყო ერთი იმ პატიოსან გვამთაგანი, რომელთაც საზოგადოებისათვის გული შესტკივათ. იმას ბანკის მმართველები და სულ მთელი გამგეობა საიქვო კაცებისაგან შემდგარი მიაჩნდა. ის ხშირად იტყოდა ხოლმე, ეგენი თავის საკუთარის სარგებლობის მიმდევნი არიანო. მით უფრო არ უნდა გავექცეთ,—იტყოდა ის,—პატიოსანი კაცი მაგათთან ერთად საქმის კეთებას იმ განზრახვით, რომ კვალში ჩაუდგეს და მაგათ მოქმედების დარაჯად იყოსო. როცა სხვა მისმა ამხანაგებმა უარი თქვეს კამიტეტის წევრად ამორჩევაზე, იმას უარი არ უთქვამს და ამოირჩიეს კიდეც. ის იყო ყოვლად მოუსყიდველი კაცი, მიუდგომელი და შრომის მოყვარე, ფრიად განათლებული, ნაკითხი, მეცნიერი, ლოღიკაში გადაჭარბებულად მტკიცე მსჯელი და მოულალავი მებაასე, ამხანაგობაში ულლის გამწევი და მსხვერპლის მომტანი. ამ ბევრს ღირსებასთან ერთი აჩირებული ზნე სჭირდა; რასაც დაიჟინებდა, მისი გადათქმა შეუძლებელი იყო, თუნდ შემცდარი აზრიც რომ ყოფილიყო; მეორე მისი ნაკლულევანება იყო გაუბედაობა, იმას ძრიელ ეშინოდა, კერძოობა არავინ შემწამოსო! ამის გამო ის ხშირად არ ემორჩილებოდა პარტიის კანონს და დაწყობილებას. საზოგადოება სრულებით დარწმუნებული იყო, რომ ის სულით და გულით ქვეყნის გულშემატკივარის კაცების წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ როდესაც საზოგადოებაში რაიმე საქველ-მოქმედო, ან ბანკის საქმეზე ბაასი აღიძრებოდა, როცა მისი თანამოაზრე და მომხრე დაიწყებდა სჯას ამ საგანზე, ის მაშინვე გამოედავებოდა და სულ წინააღმდეგი მხრით განიხილავდა იმავე აზრსა. ამ გვარი უტაქტო მოქმედებით თითქოს მხარს აძლევდა და ამართლებდა იმ კაცებს, რომელთ მოქმედებისაც არა სწამდა-რა. საზოგადოებაც რწმუნდებოდა, რომ ის ბანკის გამგეობის მომხრეაო. მისს ბაასს ჩვენის საზოგადოების თვალში ყოველთვის ამ ნაირი უკუღმართი შთაბეჭდილება ჰქონდა. ზოგჯერ თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა ნაირს ვნებას აძლევდა კეთილის აზრის გატარებას. აი, ამის გამო იმას როგორც მეგობრები, ისე მოპირ-და-პირენი ეძახდენ „ოჩანჯორსა“. იმას ჰქონდა ერთი უბედური აზრი თავში ჩაგდებული. ეს იყო მისი გადამეტებული უანგარობა, რომელიც ნებას არ აძლევდა, საარჩევანო საქმეში მოთავე კანდიდატად გამოსულიყო. „არა, მე მოთავეობა არასფერს საქმეში არ შემიძლიაო“, იტყოდა ხოლმე. აი, ამიტომაც არჩევანში თავი ალაგი ყოველთვის მზაკვარს და თავის სარგებლობის მეძიებელს კაცს ხვდებოდა; თვითონ-კი სახელქვეითო რაიმე სამსახურზე იყრიდა კენჭს და მერე, როცა საქმეები უწესოდ წარიმართებოდა, მზაკვრის კაცის წყალობით, „ოჩანი-ჯორი“ მოჰყვებოდა დედა-მთილ-იეთით ქაქანს და წინააღმდეგობას; რაღა დროს!... აი, ამისთანა გარემოება მის მოქმედებას საზოგადო ასპარეზზე ფრთებს კვეცდა და მის ღვაწლს არაოდეს ის ღონე და ძალა არ ჰქონდა საზოგადო კეთილდღეობისათვის, რაც რომ იმას შეეძლო ჰქონიყო, რომ ჯიუტობა არ სჩვეოდა და მეტი გულადობა, მეტი დაფასება სცოდნოდა თავის ღირსებისა.

ამ გვარი იყო ის კაცი, რომელიც მთელის ბანკის გამგეობის და ზედამხედველის კამიტეტის კბილის ქიად გამხდარიყო იმ დღეს, როცა კამიტეტის სხდომაში მიიწვიეს ვარდენ ვაჩეშვილი.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

ბითაო. ოსმალეთიც თავის მხრივ ემზადება თურმე ამ საქმის გამო. ავსტრიის ჟურნალ-გაზეთობა ძალიანა ჰკიცხავს თურმე «Journal des Debats»-ს იმ ამბის გავრცელების გამო, რომ ავსტრიას განუზრახავს მიტროვიცა დაიჭიროს, სალონიკის მხრივ, თავის ჯარებითაო. ეს ამბავი განგებ გავრცელებული ამბავიაო.

— სამზღვარ-გარეთის გაზეთების სიტყვით, ჯერ ნამდვილად გადაწყვეტილი არ არის, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი და ავსტრიის იმპერატორი ინახულებენ ერთმანერთს ემსში. თუ ამ ორთა იმპერატორთ არ ინახულეს ერთმანერთი, გრაფ კალნოკის განზრახვა აქვს გერმანიის კანცლერი გრაფი ბისმარკი ინახულოსო.

ავღანისტანი. პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ „Journal des Debats"-ს, რომ ავღანის ემირმა გაჰგზავნა ჯარები გუზნოში. ეს ჯარები ყანდაარიდგანა და ქაბულიდგან იქმნა დაბარებულიო. ინგლისის მთავრობამ ავღანისტანში თავის აფიცრები გაჰგზავნა და მიანდო, რომ მეამბოხეთა ყოველსავე მოქმედებას თვალყური ადევნეთ და ეცადენით, რომ ავღანიის ემირმა გაიმარჯვოს აჯანყებულებზეო. თეირანში იმ აზრისანი არიან თურმე, რომ თუ ავღანისტანში ერთი კიდევ გაიმარჯვეს მეამბოხეებმა, აბდურახმან-ხანს ჩამოაგდებენ ტახტიდგან და ემირად ეიუბხანს გამოაცხადებენო.

ჩერნოგორია. „Journal des Dedats"-ისავე ვენელი კორრესპონდენტი ამბობს: ჩერნოგორია რომ ემზადება, თვალი სერბიისაკენ უჭირავსო. ცეტინეში იმედი აქვსთ, რომ რადგან სერბიის შინაგანი პოლიტიკა დიდს გაჭირებულს მდგომარეობაშია, ამ ახლო ხანში ბელგრადში რევოლიუცია ასტყდებაო. დიდად შესაძლებელია, რომ სერბიის გაჭირებული მდგომარეობა ჩერნოგორიამ თავის სასარგებლოდ გამოიყენოსო.

სერბია. სერბიაშიაც ჯერ არ დაბოლოვებულა სამინისტრო კრიზისი. გაზ. „Daily News"-ი ამბობს, რომ თუ რამ შეუშალა ხელი რისტიჩის მიერ კაბინეთის შედგენის საქმეს, ჯერ არავინ იცისო. თუმცა სერბიის კარალმა გარაშანინს თავისი სიტყვა უკან წაალებინა, მთავარ-მინისტრობაზედ უარს ვამბობო,—ეს მხოლოდ დროებით გადაწყვეტაა ამ საქმისა, თორემ სერბიის შინაურს საქმეებში დიდი არეულობა სუფევს ამ ჟამადაო.

## გასართობი

რა ხარგებლობა მოაქვს ტიურნურებს? გაზეთები ყოველ დღე ფინანსთა გაჭირებულს მდგომარეობასა სჩივიან. ყველაფერი ამ ფინანსებს ემტერება თურმე და ასე წარმოიდგინეთ, ქალების ტიურნურებიც კი ხელს უშლიან ფინანსებს. ახ, ეს ტიურნურები! ეს ტიურნურები! სამზღვრებზე გადასვლის დროს ტიურნურისთანა კარგი ადგილი არა არის-რა, რომ შიგ მიმალოს კაცმა რამე და კონტრაბანდად გაიტანოს სამზღვარზეო, ამბობს გაზეთი «Современныя Извѣстія»-ს კორრესპონდენტი. „დამოჟნის" მოხელენი დიდი ზრდილობიანი ხალხნი არიან და ამასთან შეუძლებელია ქალი ჰნახოს კაცმა, რომ ტიურნური არა ჰქონდეს. ერთი ქალების მტერი ამტკიცებდა ამას წინად, რომ ქალებს ერთ გვარი გუდაპერჩის ტიურნურები აქვთ, რომელსაც მგზავრობის დროს ატარებენ და რომელსაც თავის სურვილისამებრ რამდენადაც უნდათ, შეუძლიანთ გაჰბერონ და გაადიდონ ხოლმეო. კორრესპონდენტს თავის თვალით უნახავს სამზღვარზე გადასვლის დროს რკინის გზის ვაგონში, თუ რა მოხერხებულები არიან ქალები კონტრაბანდის გატანაში ეხლანდელის მოდის წყალობით. კორრესპონდენტთან ერთად ვაგონში იჯდა თურმე ერთი ქალი. ქალს ძალიანა სცხელოდა და ხშირად იწმენდავდა პირიდგან ოფლსაო,--ამბობს კორრესპონდენტი:--თუმცა შემოდგომის დღე იყო და ციოდაო. ქალმა კორსეტის ზონრები გაიხსნა სიცხით და კორსეტის გახსნისათანავე, კორსეტის ქვეშიდგან სხვა-და-სხვა ნივთები გამოაძვრინაო; ამას გარდა ქალმა კიდევ სხვა ადგილებიდგან გამოიღო რაღაც ნივთები ასე რომ, სისქელე დაეკარგაო. ამ ქალმა წელიდგანაც რაღაც შეხვეული ფალასები გამოიღო; ერთი-მეორეზედ სხვა-და-სხვა ნივთებს იღებდა ხან საიდგან და ხან საიდგან, მე სირცხვილით თვალს ვერ ვადევნებდიო. როცა ქალი ფეხზე წამოდგა და კაბა გაისწორა, შევნიშნე, რომ ტიურნური აღარა ჰქონდა და დიდად გამიკვირდა, რადგან რამდენისამე წუთის წინად ვეებერთელა უშველებელი ტიურნური ჰქონდა გაკეთებულიო.

აკი დიდად ჰკიცხავდნენ ქალებს, რომ ტიურნურს ტყუილად ატარებენ, არაფრის გამოსადეგი არ არისო! თურმე ქალები ტიურნურით დიდს ზარალს აძლევენ მთავრობას და შეიძლება ერთს მშვენიერს დღეს ფინანსთა მინისტრმა გამოაცხადოს, რომ ტიურნურების ტარება აკრძალულიაო.

**

ლოთობის მტერი საზოგადოება. ინგლისში საზოგადოება შემდგარა, რომლის წევრებს პირობა აქვთ დადებული, რომ სასმელებზე სრულიად უარი ვყოთო. ამ დღეებში ამ საზოგადოებას კრება ჰქონია და ამ კრებაზე წლიური ანგარიში წაუკითხნიათ, რომლიდამაც სჩანს, რომ 200 აფიცერს ზღვის უწყებისას და 11,000 მატროსს სრულიად ხელი აუღიათ ყოველ გვარ სასმელზე. გარდა ამისა ამ საზოგადოებას 25,000 ჯარის კაცი ჰყოლია კიდევ წევრადა.

კარგი არ იქნებოდა, რომ ჩვენშიაც შემდგარიყოს ესეთი საზოგადოება!

# დეპეშა

14 მაისი

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

ქუთაისი. მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა საზოგადო კრება დაიწყო 10 მაისიდამ. ცხარე კამათობისა და ზოგიერთის საგნების განმარტების შემდეგ ანგარიში ბანკის მოქმედებისა ერთ-ხმად იქმნა დამტკიცებული. შეიწყნარეს აზრი ზედამხედველის კომიტეტისა იმის თაობაზედ, რომ წმინდა მოგება ბანკისა მოხმარდეს ქუთაისისა და სენაკის სათავად-აზნაურო სკოლებს. ხარჯთ-აღრიცხვის სია, რომელიც წარმოდგენილი იყო ამ სკოლების-მიერ, არ იქმნა შემოკლებული. წინამძღვრიშვილის სკოლისათვის გადასდეს 500 მან. შესაწევრად. ერთ-ხმად დაადგინეს: ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ ქუთაისისა და სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის პროგრამა შეუცვლელად დარჩეს; ამოვირჩიოთ კომისია და მივანდოთ, რომ გამოიკვლიოს ორის ბანკის ერთად შეერთების საქმე და შემდეგ მორიგს კრებას წარმოუდგინოს ამ შეერთების პროექტი განსახილველად. დღეს უნდა შეუდგნენ არჩევნებს. კრებაზე ბევრი ხალხი არ ესწრობოდა.

14 მაისი

პეტერბურგი. „Правит. Вѣст."-ი გვაუწყებს, რომ იმ სარედაქციო კომისიის მუშაობა, რომელიც ადგენდა სამოქალაქო სჯულდებას, შეჰფერხდა, რადგან მომეტებული ნაწილი ამ კომისიის წევრთა სხვა საქმეს შეუდგა. ეს სხვა საქმეა გამოკვლევა ახალის წესისა, რომელიც უნდა იქმნას შემოღებული უძრავის ქონების საკუთრებად დამტკიცებისათვის. ამ საგნის თაობაზე უკვე შეუდგენიათ რამდენიმე პროექტი. მათ შორის არის ერთი პროექტი საადგილ-მამულო წესდებისა. ყველა ეს პროექტები ამ ჟამად სარედაქციო კომისიასა აქვს განსახილველად. ამას გარდა კომისია მალე შეუდგება იმ მზა პროექტების განხილვას, რომელიც შეეხება სამზრუნველო დებულებათა დაწესებასა და სამზრუნველოების წესდების შემოღებასა.

„Новое Время" გვაუწყებს, რომ სახელმწიფო საბჭომ საშემოდგომოდ გადასდო განხილვა შემდეგის კანონ-პროექტებისა: შეცვლა ადგილობრივის მმართველობისა ციმბირში, პასპორტების საქმე რუსეთის ქვეშევრდომთათვის და ცვლილებანი ფინანსებისა და მმართველობისა იმიერ-კასპიის მხარეში.

„Новости" გვაუწყებს, რომ სამზღვარ გარედ სპირტის გატანის წასაქეზებლად სახელმწიფო საბჭოში შეუტანიათ შემდეგი წინადადება: ნებადართოს მთავრობამ, იმის მაგიერ, რომ უბაჟოდ გატანა სამზღვარ-გარედ სპირტისა გამტანელის პრემიად ითვლებოდეს და გზის ხარჯის გამო არა ერთმეოდეს-რა, მიეცეს გამტანელს რვა-რვა კაპიკი სპირტის თითოეულ გრადუსზე, რომელიც წინად უბაჟოდ გაჰქონდათ. ფულის მიცემა პრემიად დაიწყობა, როგორც განზრახვაა, 1 იანვრიდამ.

პარიჟი. სამინისტროს შედგენა ფლოკეს შემწეობით ვერ მოხერხდა. გაზეთები გვაუწყებენ, რომ სხვაფრივ ჰფიქრობენ ამ საქმის მოხერხებასაო. მთავარ-მინისტრად იქმნება დიუდერი, რომელსაც აქამდე თვალ-საჩინო საპოლიტიკო საქმე არა ჰბარებია-რაო. თუ ასე მოჰხდა, ბულანჟე აღარ დარჩება სამინისტროში. იმის ადგილს დაიჭერს ეხლანდელი გუბერნატორი პარიჟისა, ბულანჟეს მოწინააღმდეგე პოლიტიკაში—გენერალი სოსიე. მაგრამ ჯერ-ჯერობით შეიძლება კიდევ მოხერხდეს, რომ ფრეისინეს მიენდოს შედგენა სამინისტროსი. გუშინ საღამოს ფრეისინე ხელ-ახლად უნდა მოლაპარაკებოდა გრევის.

ბომბეი. როგორც ავღანისტანიდამ იწერებიან, აბდურახმან-ხანს გამოუცხადებია, რომ მე თითონ გავილაშქრებ გილზაების წინააღმდეგ, თუ ჩემი გენერლები ვერ დაამშვიდებენ აჯანყებულებსაო.

ბუდა-პეშტი. როცა ვენგრიის სეიმის კრება გათავდა, წაკითხულ იქმნა სეფე-სიტყვა. სეფე-სიტყვა მადლობას უცხადებს სეიმსა, იმიტომ-რომ თუმცა საფინანსო მდგომარეობა ქვეყნისა სანუგეშო არ იყო, მაინც სეიმმა სიამოვნებით გადასდო ყველა ის ფული და შეიწყნარა ყველა ის კანონ-პროექტები, რომელიც საჭირო იყო სახელმწიფოს უვნებლობისათვის. „ასეთი საქციელი სეიმისა,—ნათქვამია ამ სიტყვაში,—ამტკიცებს, რომ სეიმსაცა და მთავრობასაც ჰსურს მშვიდობიანობის დაცვა და მზად არის ყოველის მსხვერპლისათვის, რომელსაცკი მოითხოვს სარგებლობა ტახტისა, სახელმწიფო და ვენგრიისა." დასასრულ სიტყვაში მოხსენებულია, რომ იმპერიის ორივე ნახევარი სასურველად მორიგდაო. ეს მორიგება კარგი საფუძველია საერთა-შორისო ურთიერთობისათვის, რომელიც იმაზეა მიმართული, რომ დაცულ იქმნას მშვიდობიანობა, მაგრამ ისე-კი, რომ უპირველესი ინტერესები იმპერიისა არაფრით არ შეირყესო.

პარიჟი. გუშინ საღამოს „საკომიკო ოპერის" თეატრში ცეცხლი გაჩნდა წარმოდგენის დროს. თეატრი სულ გადაიწვა. ჯერ-ჯერობით შეიტყეს, რომ 19 კაცია დამწვარი და 60 დასახიჩრებული.

ბერლინი. იმ ხმების გამო, რომ მემკვიდრე პრინცი ავად არისო, ოფიციალურად იუწყებიან: მცოდნე პროფესორმა მაკენზიმ გასინჯა ეს ავადმყოფი პრინცი და სთქვა, რომ ავადმყოფობა ისე საშიში არ არის და რიგიანის მოვლითა და ფარეზობით მალე გაივლისო.

სტამბოლი. როგორც ხმები ისმის, აქ აღმოაჩინეს შეთქმულობა. შეთქმულთ აზრად ჰქონიათ ტახტიდამ ჩამოეგდოთ ხონთქარი და იმის მაგიერ დაესვათ სალახ-ედინი.

პარიჟი. ფრეისინემ იკისრა შედგენა ახალის სამინისტროსი. გრევისთან ფრეისინეს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა. ამ თათბირზედ დაესწრნენ ფერრი და ზოგიერთი სხვა ოპპორტუნისტები.

15 მაისი

პეტერბურგი. დღეს, მათ იმპერატორების უდიდებულესობათა კურთხევის დღეობის გამო, სამეუფო ქალაქი მშვენიერად მორთულია ბაირაღებით; ისაკის სობოროში უმაღლესის კარის დიდებულთა თანადასწრებით გადახდილ იქმნა სალმთო ლიტურგია და შემდეგ პარაკლისი. უმაღლესს სასახლეში არავინ მიუღიათ.

სახელმწიფო საბჭოში შეტანილ იქმნა პროექტი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბანკს და მის განყოფილებათ ნება ჰქონდეთ გასცენ სესხი იმათზე, ვისაც ჰსურთ ზღვასა და მდინარეებზე სავლელის გემების გაკეთება.

„Новое Время" გვაცნობებს, რომ სახელმწიფო საბჭოს სასარგებლოდ უცვნია ბაჟი მოემატოს იმ ნახშირზე, რომელიც შემოაქვთ ბალტიის ზღვით და დასავლეთის სამზღვრით, ფუთზე $\frac{1}{2}$ კ., კოკსზე-კი შავის ზღვის პორტებით შემოტანილზე—$4\frac{1}{2}$, დასავლეთის სამზღვრით შემოტანილზე—3 კ. და ბალტიის ზღვით შემოტანილზე—$1\frac{1}{2}$ კ. ფუთზე. ამ ბაჟის დაწესება 1888 წლის 1 იანვრამდე უნდათ.

პარიჟი. ფრეისინემ კიდევ უარი სთქვა ახალის კაბინეტის შედგენაზე.

სენატმა დაამტკიცა ახლად მომატებული საბაჟო გადასახადი შაქარზე 10 ფრანკი.

დამწვარის საკომიკო ოპერის თეატრის ნანგრევების გაწმენდის დროს იპოვეს 56 დამწვარი ადამიანი. მომეტებული ნაწილი დამწვართა ახალგაზდა ლამაზად მორთული ქალები იყვნენო.

პეტერბურგი. გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს დადგენილობა: რაბინი არის ებრაულის სჯულის მცველი და გამმარტებელი. ეს თანამდებობა მიენდობათ ებრაელთ თანამორწმუნეთა საზოგადო არჩევით. უნდა ამორჩეულ იქმნენ სამს წელიწადში ერთხელ ისინი, ვისაც კურსი გაუთავებიათ წინად ყოფილს სარაბინო სასწავლებლებში, ებრაელთა სამასწავლებლო ინსტიტუტებში, საზოგადოდ უმაღლესს ან საშუალო სასწავლებლებში და დაწესებული მოწმობანი მიუღიათ. არჩეულები დასამტკიცებლად უნდა წარდგენილ იქნენ გუბერნიის მთავრობის წინაშე და, დამტკიცების შემდეგ, ფიცი უნდა ჩამოერთვათ. რაბინობის მოწმობა იმ გუბერნიის მთავრობისაგან ეძლევათ, რომელიც რაბინად ამტკიცებს.

ბრიუსელი. მუშათა საქმის ხელმძღვანელობისათვის დაწესებულმა კომიტეტმა გუშინ მიართვა მთავრობას ქაღალდი, რომლითაც ითხოვს, რომ კაბინეტი დაჰპირდეს, დაითხოვოს პალატები, საყოველთაო არჩევნის წესი შემოიღოს და მოიწვიოს დამწესებელი კრება. კომიტეტი ამბობს, რომ თუ ამას დაჰპირდებიან, ბელგიაში მშვიდობიანობა ჩამოვარდება და წინააღმდეგს შემთხვევაში-კი მუშები ცხადად დაიწყებენ ბრძოლასაო. კომიტეტი პასუხს თხოულობს სულთ-მოფენობამდის.

სამოსამართლო მთავრობამ მთელს ბელგიაში აკრძალა იარაღის ყიდვა. ამასთან ნაბძანებია დაატუსაღონ რამდენიმე ანარქისტი, რომელთაც ბრალდებათ შეთქმულობა. მრავლად იპოვეს შეთქმულთა შესახები ქაღალდები.

14 (26) მაისის ბრძანებით მოწოდებულია მილიციის ერთი ნაწილი, 1883 და 1884 წელთა რაზმები.

მუშების აშლილობა ცოტ-ცოტად ცხრება.

პეტერბურგის ბირჟა, 9-ს მაისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 24 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 178 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | 1 34 | — » |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 266 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 244 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | — » | — » |


## კერძო განცხადებანი

ქალაქ ბათუმში

ვაგზალის მახლობლად ახლად გაკეთებული

მებლიროვანი ოთახები

„ვენეცია"

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში სიძვირე არის, მაქვს №№-ბი სუფთად მოწყობილი დღეში 50 კაპეიკიდამ $1\frac{1}{2}$ მანათამდე. თთვეობით 10 მანათიდამ 30 მანათამდის. საჭმელებს ვაკეთებინებ, ვინც რას ისურვებს. უმორჩილესად ვსთხოვ საზოგადოებას ყურადღება მიაქციონ.

ოთახების პატრონი იოანე ლოლუა

(10—2)


Дозв. ценз. Тиф. 16 мая, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე